**ეთიკის კომისია**
**რეკომენდაციის გაცემაზე უარი**

**მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**
კოლეგიის თავმჯდომარე - მარიკა არევაძე
კოლეგიის წევრი - მარინე ცუცქირიძე
კოლეგიის წევრი - ინგა ნებიერიძე

**შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი** - 23.01.23
**შეკითხვის ავტორი** - ადვოკატი
**შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი** - 001/23

**I. შეკითხვა**

აქვს თუ არა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, როცა იხილავს ეთიკის კომისიის თავმჯდომარის საჩივარს ადვოკატის მიმართ?

კანონში მსგავსი რამ არ გვიწერია.

მე-2 კითხვა:

აქვს თუ არა უფლება და რამდენად ჯდება ეთიკის კომისიის საქმიანობის ძირეულ პრინციპებთან, როდესაც ეთიკის კომისიის წევრი ადვოკატის ფეისბუქ პოსტის კომენტარის ეთიკურობას იხილავს მანქანით მგზავრობის დროს და კევის ღეჭვისას როგორც ა. კ.-მა გააკეთა.

მე-3 კითხვა:

საქართველოში სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ყველა ადმინისტრაციულ ორგანოსთვის დადასტურებულად ითვლება. ეთიკის კომისია კი სასამართლოს დადგენილებას სამოქალაქო საქმეზე, სადაც ფაქტები დადასტურებულია, სადაც: ხაზგასმით წერია, რომ ადვოკატმა კლიენტს რომელიც 8 წელი ვერ აგვარებდა დავას და 2 ადვოკატი ჰყავდა გამოცვლილი უშედეგოდ, დავა მისი სტრატეგიებით უმოკლესად უმოკლეს დროში მოაგვარებინა სასამართლოს გარეშე და ორგან ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ადვოკატმა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტამდე თავის მოვალეობა ჯეროვნად და კარგად შეასრულა. ასევე, ამავე საქმეზე სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებულია გამოძიება ეთიკის კომისიაში მომჩივანი პირის ვ. ბ.-ს მიმართ და სასამართლო გადაწყვეტილებას გვერდს უვლის; დადასტურებულ ფაქტებს ამახინჯებს განზრახ; ასევე, გამოძიების დაწყების ცნობას

მალავს და არ ახსენებს ისე აღძრავს დისციპლინურ დევნას 17 გვერდიანი დასაბუთებით, როგორც ეს ეთიკის კომისიის წევრმა კ. გ.-მა და ა. ლ.-მ გააკეთეს 2019 წელს. უფრო მეტიც, ამის შემდეგ დისციპლინურ ორგანოში მიჩივლა ეთიკის კომისიის ამჟამინდელმა თავჯდომარემ, რის მერეც საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანე სარჩელი ასოციაციის დაშლის მოთხოვნით.

მე-4 კითხვა:

პოლიციისთვის მიმართვა არის, როდესაც ახსენებს ადვოკატი ეთიკის კომისიის წევრი საერთო სპეციალობის ადვოკატი ი. ნ. მუქარა არის. რამდენად მიგაჩნიათ ეს ფაქტი მუქარად ეთიკის კომისიის 15-ვე წევრს რამდენად აქვს უფლება ეთიკის კომისიას, როდესაც ეთიკის წევრი მუქარად აფასებს ადვოკატის ქმედებას პოლიციისთვის მიმართვის თაობაზე და ეთიკის კომისიის წევრები მ. ა. და მ. ც. ადვოკატის შუამდგომლობას მის აცილებაზე არ აკმაყოფილებენ?

მე-5 კითხვა:

ეთიკის კომისა როდესაც დისკრიმინაციაზე მიდის დავა სასამართლოში და 7 წევრი შეიძლება დამტკიცების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ, აქვთ თუ არა უფლება მათ სხვა დისციპლინური საქმეები განიხილონ?

მე-6 კითხვა:

როდესაც ადვოკატი ეთიკის კომისიას უსვამს კითხვას, 15 წევრს და საუბრობს გახმაურებულ საქმეებზე; სურს ეთიკის ყველა წევრს აუხსნას დაანახოს მტკიცებულებები იმ საქმეებში, რომლის ანალოგი არ არსებობს; ამ ადვოკატს თვეში 30 000-ზე მეტი დადებითი გამოხმაურება აქვს საქმიანობიდან გამომდინარე სოციალურ ქსელებში; პასუხს წერს უარყოფითს ეთიკის კომისიის თავჯდომარე. გთხოვთ პასუხი მომწეროთ თხუთმეტივე წევრმა.

## II. ანალიზი

ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.“ თავის მხრივ, დებულების 41-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომელზეც ეთიკის კომისია უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია. კერძოდ, რეკომენდაცია შეიძლება იყოს: 1. ნორმის განმარტება. 2. მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. 3. მოსაზრება კონკრეტული შესაძლო ქმედების ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაზე. შესაბამისად, დებულების 41-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის იმ საკითხებს რაზეც კომისია გასცემს რეკომენდაციას.

ამასთან, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით: „ეთიკის კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია უარი თქვას რეგისტრირებული შეკითხვის განხილვაზე, თუ მოთხოვნილი რეკომენდაცია ეხება კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს“.

განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ დასმული პირველი შეკითხვა, ეხება კომისიაში დარეგისტრირებულ საჩივარზე მიმდინარე დისციპლინურ წარმოებას. ამასთან, როგორც პირველი ასევე სხვა დანარჩენი შეკითხვები, არ აკმაყოფილებენ შეკითხვის ფორმას. ადვოკატის მიერ დასმული შეკითხვები არ არის ჰიპოთეტური შინაარსის და მასში აღწერილი გარემოებები მიემართება კონკრეტულ პირთა წრეს და იდენტიფიცირებადს ხდიან განსახილველი საკითხის ფაქტობრივ გარემოებებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია, კონკრეტულ შემთხვევაში, მოკლებულია შესაძლბელობას გასცეს რეკომენდაცია, რადგან შემოსული შეკითხვა ერთის მხრივ, მიემართება კომისიაში მიმდინარე საქმისწარმოებას ხოლო მეორეს მხრივ, არ ჯდება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტში ჩამოთვლილ იმ საკითხეთა რიგში, რომელზეც ეთიკის კომისია უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია.

**III. დასკვნა**

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუქტისა და 41-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ეთიკის კომისია ვერ გასცემს რეკომენდაციას შემოსულ შეკითხვასთან დაკავშირებით.

*მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.*

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/